პრეზენტაცია

2014 წლის 3 ივნისს ტიუბინგენის უნივერსიტეტში გაიმართა წარდგენა მიხეილ თარხნიშვილის ნაშრომისა „საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე", რომელიც გამოსაცემად მოამზადა და სამეცნიერო აპარატით აღჭურვა სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა ნუგზარ პაპუაშვილმა.

ღონისძიების ინიციატორები იყვნენ აღნიშნული უნივერსიტეტის ევანგელურ-თეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორები: ჰერმან ლიხტენბერგერი და რაინჰოლდ რიგერი, რეცენზენტი პროფესორი გიორგი ქორიძე. პრეზენტაციას პროფესორები, სტუდენტები და საკითხით დაინტერესებული ადამიანები დაესწრნენ. ჟურნალ „კადმოსის" რედაქცია გთავაზობთ თარგმანს საინფორმაციო წერილისა, რომელიც რელიგიათმცოდნეობის პროფესორმა რაინჰოლდ რიგერმა მოამზადა და რომელიც გამოქვეყნებულია აღნიშნული უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე: https://publikationen.uni-tuebingen.de/xmlui/handle/10900/53887

[ცნობა წიგნის პრეზენტაციის შესახებ]

მიხეილ თარხნიშვილი, საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნუგზარ პაპუაშვილმა, თბილისი, 2014

ტიუბინგენის უნივერსიტეტის ევანგელური თეოლოგიის ფაკულტეტზე 2014 წლის 3 ივნისს შედგა ზემოთ დასახელებული წიგნის პრეზენტაცია გამომცემლის, პროფ. დოქტ. ნუგზარ პაპუაშვილის, მონაწილეობით. ნ. პაპუაშვილი არის ფილოლოგი და ეკლესიის მართლმადიდებელი ისტორიკოსი თბილისის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში. ის რამდენიმეჯერ იმყოფებოდა გერმანიის ევანგელური ეკლესიის დიაკონური სამსახურის დახმარებით ტიუბინგენში და იკვლევდა ახალი აღთქმის ქართული ტექსტის ისტორიისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახლო წარსულის საკით-

ხებს; ამზადებდა პუბლიკაციებს ამ თემებზე. თავის ქვეყანაში ბატონი პაპუაშვილი ცნობილია პიროვნებად, რომელსაც რელიგიასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ლიბერალური და ტოლერანტული პოზიცია აქვს. ის ბევრს წერს და აქვეყნებს ადამიანის უფლებებისა და სინდისის თავისუფლების თაობაზე. რელიგიათა საბჭომ თბილისში მას მიანიჭა „ტოლერანტობის ქომაგი“-ს საპატიო ტიტული. ნ. პაპუაშვილი იღვწის საქართველოში კათოლიკური ეკლესიების რესტიტუციისათვის.

მასპინძლის, ახალი აღთქმისა და ანტიკური იუდაიზმის პროფესორის, დოქტ. ჰერმან ლიხტენბერგერის, – ტიუბინგენის უნივერსიტეტის ევანგელურ-თეოლოგიური ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორის, – მისალმების შემდეგ პროფ. დოქტ. ნ. პაპუაშვილმა ისაუბრა აღნიშნული წიგნის შექმნის პროცესზე. ესაა ქართულენოვანი ნაშრომი, რომელსაც ახლავს შესავალი წერილები ქართულ და გერმანულ ენებზე. მათში აღნიშნულია, რომ კვლევითი სამუშაო გერმანიაში კათოლიკური ეკლესიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (KAAD) დახმარებით წარიმართა. ბატონმა პაპუაშვილმა გამოხატა მადლიერება დიაკონური სამსახურისა და კათოლიკური ეკლესიის აღნიშნული ორგანიზაციისადმი მისი პროექტებისათვის ხელის გამართვის გამო. ეს დახმარება დაკავშირებულია პროფ. დოქტ. ჰერმან ლიხტენბერგერისა (ტიუბინგენი) და პროფ. დოქტ. ჰუბერტ კაუფჰოლდის (მიუნხენი) სახელებთან. გამომცემელმა დიდი მადლობა გადაუხადა გამოცემის რედაქტორებს: ბატონ პროფ. დოქტ. ჰუბერტ კაუფჰოლდს, ჟურნალ “Oriens Christianus”-ის გამომცემელს, და ბატონ პროფ. დოქტ. ზურაბ კიკნაძეს, სემიტოლოგსა და ბიბლიური წიგნების მთარგმნელს (თბილისი). ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი კვლევითი სამუშაოს წარმართვა და საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება შესაძლებელი გახდა დიაკონური სამსახურის, ფილიპ-მელანქტონის ფონდისა და ევანგელისტი სტუდენტების საერთო საცხოვრებლის დახმარებით.

ბატონმა პაპუაშვილმა განმარტა ხსენებული ავტორისა და მისი ნაშრომის მიმართ ინტერესის აღძვრის საფუძველი. იგი მუშაობდა თემაზე „საქართველოს გასაბჭოების (1921) შემდგომდროინდელი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საეკლესიო-სასულიერო ცხოვრება გერმანულენოვან სივრცეში“. ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერის სახით არსებულმა ერთმა ნაშრომმა, რომლის დედანი ამჟამად საქართველოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ყოფილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში) ინახება. ეს ხელნაწერი დასახელებულ ორგანიზაციას

1979 წელს გადაეცა. მანამდე ის ინახებოდა პარიზში, სადაც ქართული პოლიტიკური და კულტურული ემიგრაციის ცენტრი მდებარეობდა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ისტორიას დასაბამიდან მე-7 საუკუნის დასასრულამდე და 1200 გვერდს მოიცავს; დაწერილია რომში ქართულ ენაზე და დათარიღებულია 1951 წლით. ამ თხზულების ავტორი არის ქართველი კათოლიკე მღვდელი, ლიტურგიკისა და ეკლესიის ისტორიის სპეციალისტი, საკუთარი სამშობლოს საეკლესიო წარსულის დაუღალავი მკვლევარი, რომში პაპის აღმოსავლური ინსტიტუტის თანამშრომელი დოქტ. მიხეილ (მიქელ) თარხნიშვილი (1897-1958). ჩვენთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა შემდეგი: მ. მიხეილ თარხნიშვილის მონოგრაფიის ხელნაწერი ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში გადაეგზავნა ცოლ-ქმარ კალისტრატე და ნინო სალიებს. ისინი ცხოვრობდნენ პარიზში და ქართული ემიგრაციის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ. ისინი უპირველეს ყოვლისა ცნობილი არიან როგორც კულტურტრეგერები, სამეცნიერო ჟურნალის „ბედი ქართლისას“ (Bedi Kartlisa. Revue de Kartvelologie) და ასევე საქართველოს შესახებ სხვა მრავალი წიგნის გამომცემლები. პროფ. დოქტ. იულიუს ასფალგის ერთ-ერთი პირადი წერილიდან ირკვევა, რომ უკვე 1952 წელს ხელნაწერი გერმანიაში იმყოფებოდა და ქართველი ემიგრანტები გერმანელ მეგობრებთან ერთად მისი ტექსტის დასტამბვისათვის მეცადინობდნენ. ასე რომ, ხელნაწერი ჯერ გერმანიაში ჩამოუტანიათ და შემდგომ გადაუგზავნიათ პარიზში. დასახელებული ცოლ-ქმარი მის გამოქვეყნებას გეგმავდნენ, მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელეს. ამის გამო მათ მოხუცებულობის ასაკში დოკუმენტი დასაცავად, ანდა იქნებ გამოქვეყნების იმედითაც თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტს გამოუგზავნეს. იქ მას გაცნობია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია (იგი დაინტერესებული იყო ანტროპოსოფიითა და თეოსოფიით, ასევე ეკლესიის ისტორიით). როგორც მისი მინაწერებიდან ჩანს, იგი აღიარებდა ამ ნაშრომის მნიშვნელობას. ამ ნაშრომის გამოქვეყვების საკითხი იდგა ხელნაწერთა ინსტიტუტის საბჭოს წინაშე, მაგრამ იდეა იდეად დარჩა.

აღნიშნული ხელნაწერის გამოსაქვეყნებლად მომზადების სურვილი ბ-ნ ნუგზარ პაპუაშვილს ორი მიზეზის გამო აღეძრა. მათგან პირველს წმინდაწყლის პროფესიული ხასიათი აქვს. გავითვალისწინოთ, რომ ნ. პაპუაშვილი არის, ასევე, ეკლესიის ისტორიკოსი; მიჰყავს საქართველოს ეკლესიის ისტორიის სასწავლო კურსი და მას ეს ნაშრომი სახელმძღვანელოდ სჭირდება. მეორე მიზეზი კი სამეცნიერო და საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს.

გამომცემლის მიერ ამ გეგმის განხორციელება, მისივე თქმით, ადვილი არ იყო. არა ერთი და ორი სქოლიო და მითითება, რაც ხელნაწერში არასრულად და ბუნდოვნადაა მოცემული, მას სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროსთან უნდა შეეწამებინა და დაეზუსტებინა. ასევე მის მიზანს შეადგენდა, რომ გამოცემა დამატებითი შენიშვნებითა და კომენტარებით აღეჭურვა; ჩაეტარებინა კვლევითი სამუშაო ავტორის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ირგვლივ.

2012 წლის ზაფხულში კათოლიკური აკადემიური გაცვლის სამსახურის თანადგომით გამომცემელს შესაძლებლობა მიეცა, აღნიშნული გეგმის შესაბამისად გერმანიაში ემუშავა. პროფესორ კაუფჰოლდის დახმარებით შესაძლებელი გახდა დასახელებული ხელნაწერის რამდენიმე მოუწესრიგებელი ადგილის მოწესრიგება და აქამდე უცნობი საბუთისა და დოკუმენტის მოძიება. გამომცემლისათვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბენედიქტელთა მონასტერს სტუმრობა სოფელ ეტალში, რომლის სასულიერო გიმნაზიაში სწავლობდა მიხეილ თარხნიშვილი შვიდ თანამემამულესთან ერთად. იქაური ბიბლიოთეკარის კეთილი ნების წყალობით პაპუაშვილმა მოიპოვა მასალა ქართველების იქ მყოფობის თაობაზე. მან თავი ბედნიერად იგრძნო, როდესაც საკუთარი თვალით იხილა ადგილები, სადაც მისი თანამემამულეები ცხოვრობდნენ.

ბატონ პაპუაშვილის გამოსვლას მოჰყვა მის მიერ გამოცემული წიგნის შეფასება, რომელიც წარმოადგინა პროფ. დოქტ. გიორგი ქორიძემ – რელიგიური ფილოსოფიის პროფესორმა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში და ფილოსოფიური სემინარის დოცენტმა ტიუბინგენის უნივერსიტეტში. მან იმ ფაქტის მიმართაც გაამახვილა ყურადღება, რომლის თანახმად მამა მიხეილ თარხნიშვილი დასავლეთ ევროპაში ქართული უნიატური ეკლესიის დაარსებისათვის იღვწოდა, რაც ვერ განხორციელდა. მკაფიოდ აღინიშნა, რომ თარხნიშვილის მიერ წარმოჩენილი საქართველოს საეკლესიო ისტორია თავისუფალია პატრიოტული ემოციებით გაჟღენთილი ჰიპოთეზებისაგან და ამ ისტორიის საკითხებს მეცნიერული ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განიხილავს. ამ თვალსაზრისით აღნიშნული ისტორია ანალოგიური შინაარსის სხვა ისტორიებს აღემატება, რის გამოც მას საქართველოსათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ავტორი, ტრადიციული მიდგომის საპირისპიროდ, მკაფიოდ მიჯნავს ერთმანეთისაგან განვითარების პროცესებს საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეებში და მოციქულების სამისიონერო ღვაწლის საკითხში თავშეკავებას ამჟღავნებს. გამომცემელს გაწეული აქვს მნიშვნელოვანი კვლევაძიებითი სამუშაო, რაც

ასახულია ძირითადი ტექსტის თანმხლებ წერილებსა და შენიშვნებში, აგრეთვე პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, რითაც აღჭურვილია გამოცემა.

სხდომის სადისკუსიო ნაწილში ყურადღება იმ საკითხზეც გამახვილდა, რომ ქართულ სინამდვილეში წმინდაწყლის საეკლესიო ისტორია არ მოიპოვება, რადგან იქ ტრადიციისამებრ ეკლესიის ისტორია სახელმწიფოს ისტორიასთან იმდენად მჭიდროდაა დაკავშირებული, რომ ეკლესიის ისტორიის ასპექტები ყოველთვის ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ისტორიაში განიხილება. იმის გამოც უნდა ჩაითვალოს მიხეილ თარხნიშვილის ისტორია სიახლედ, რომ ის არის დასავლური განათლების ნაყოფი. ავტორი იქ ეუფლებოდა ისტორიოგრაფიის მეთოდებს, კერძოდ კი საეკლესიო და სამოქალაქო ისტორიების ერთმანეთისაგან გამიჯნვის პრინციპს და ამ მეთოდით საქართველოს საეკლესიო ისტორიის წარმოჩენას. გამომცემელმა მკაფიოდ აღნიშნა შემდეგი: იმის მიუხედავად, რომ დღეისათვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის განხრით სამეცნიერო ლიტერატურა საკმარისადაა, გამოცემულ ნაშრომს მაინც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. გასათვალისწინებელია, რომ თარხნიშვილსა და მის გერმანელ კოლეგებს დაგეგმილი ჰქონდათ ამ ნაშრომის გერმანულად გადამუშავება და გამოქვეყნება. მართალია, ამ იდეამ იმხანად ხორცი ვერ შეისხა, მაგრამ მას დღესაც არ დაუკარგავს ფასი.

თარხნიშვილის ნაშრომის გამომცემელი თავის გერმანულენოვან შესავალს ასე ამთავრებს: „გვწამს, რომ ეს წიგნი ხელს შეუწყობს კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების დაახლოებას, მათ შორის ურთიერთგაგების ატმოსფეროს დასადგურებას, იმ პრობლემებისა თუ დაბრკოლებების მოხსნას, რაც თანამედროვე საქართველოს საეკლესიო-რელიგიურ სივრცეში არსებობს, და ამ გზაზე იგი თვალსაჩინო როლს შეასრულებს.

რაინჰოლდ რიგერი (Reinhold Rieger),
ტიუბინგენის უნივერსიტეტის პროფესორი

PRESENTATION

A presentation of Mikheil Tarkhnishvili's book ***The History of the Georgian Church*** was held at the University of Tübingen on June 3, 2014. The book was prepared for publication and furnished with a critical apparatus by Professor Nugzar Papuashvili of Sulkhan Saba University.

The event was organized by Professors Hermann Lichtenberger and Reinhold Rieger of the Evangelical Theological Faculty of the University of Tübingen. The publication was critically reviewed by Dr. Giorgi Koridze. Prof. Dr. Reinhold Rieger's note about the presentation is published at the official website of the University at https://publikationen.uni-tuebingen.de/xmlui/handle/10900/53887.